საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 0 20 0001110181

19/11/2020

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მოდერნიზაცია, ფაზა 2“ - ფარგლებში სახელმძღვანელოს ავტორთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრსა (შემდგომში - ცენტრი) და გაეროს განვითარების პროგრამას შორის ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მოდერნიზაცია, ფაზა 2“ (შემდგომში - პროექტი) - კოორდინატორ თამარ ქიტიაშვილის 2020 წლის 13 ნოემბრის №1094198 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის - ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ - ფარგლებში პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელოს ავტორთა შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით.
3. კონკურსი გამოცხადდეს 4 (ოთხი) საგნობრივი მიმართულებით:
3.1. ფიზიკა;
3.2. ქიმია;
3.3. ბიოლოგია;
3.4. გეოგრაფია (ფიზიკური გეორგაფია).
4. სახელმძღვანელოს ავტორთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

5. კონკურსი გამოცხადდეს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის - www.eqe.ge - მეშვეობით.
6. კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატმა რეზიუმე უნდა წარმოადგინოს ელექტრონულ ფოსტაზე - m.tielidze@eqe.ge;
7. სახელმძღვანელოს ავტორთა შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის ეტაპებად განისაზღვროს:
7.1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა და გადარჩევა შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით;
7.2. საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება.
8. კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ელექტრონული ფოსტის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს, რომელი საგნობრივი მიმართულებით სურს სახელმძღვანელოს ავტორთა კონკურსში მონაწილეობა.
9. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.
10. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს კონკურსის გამოცხადება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge- კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა და ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
11. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ